საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

N გ-19-03/2151
12/07/2019

2151-გ-19-03-2-201907121518

შპს „BATUMI MEDIA GROUP"-ს

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2019 წლის 18 ივლისს, 15 საათზე, მისამართზე: 0144 თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18, დანიშნულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში კომისია) სხდომა, სადაც განიხილება შპს „BATUMI MEDIA GROUP"-სთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის და სატელევიზიო არხების საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემის გამო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2019 წლის 4 ივლისი. გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში, ამასთანავე გაცნობებთ, რომ თქვენი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში კომისია განიხილავს საკითხს თქვენს დაუსწრებლად.

<u>**დანართი:**</u>

1. კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტის 2019 წლის 28 ივნისის N19-10-1158 სამსახურებრივი ბარათი - 2 ფურცელი;
2. 2019 წლის 13 ივნისის შემოწმების აქტი N34 – 3 ფურცელი;
3. შემოწმების ვიდეო ჩანაწერი - CD. 1 ეგზ.

ოლია ვოტ

უფროსი
ადმინისტრაცია

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625 ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

N 19-10-1158
28/06/2019

1158-შ-19-10-3-201906281155

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის

თავმჯდომარეს ბატონ კახა ბექაურს

კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების

რეგულირების დეპარტამენტის მონიტორინგის უზრუნველყოფის

მთავარი სპეციალისტის მარიამ არაშიძის

ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ რ ი ვ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო კახა,

გაცნობებთ, რომ 2019 წლის 13 ივნისს კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედია მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტში დასაქმებულ უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელდა შპს „BATUMI MEDIA GROUP"-ის შემოწმება, პროგრამების აუდიო-ვიზუალური დათვალიერება-მოსმენის საშუალებით და გადაცემის დროის დაფიქსირებით და შედგა შემოწმების აქტი №34.

შემოწმება ჩატარდა ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის N80, შპს „BATUMI MEDIA GROUP"-ის ოფისში, კომპანიის დამფუძნებლის მალხაზ მახაჭაძის თანდასწრებით.

შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ შპს „BATUMI MEDIA GROUP"-ი საკუთარი საკაბელო ქსელით ახდენს შემდეგი სამაუწყებლო არხების საქართველოს ტერიტორიაზე რეტრანსლირებას: „ობიექტივი", „ტვ პირველი", „მარაო", „მესამე", „GDS", „ბათუმი ტვ", „რუსთავი 2", „პალიტრა",„საზოგადოებრივი მაუწყებელი I არხი", „აჭარა", "ტელეარხი 25", „რ.ბ.ჯ", „მაესტრო", „იმედი", „ერთსულოვნება", „სტერეო +", РУ ТВ", „Еврокино", „Дом кино премиум", „Бестелер", „Киномикс", „Наше любимое кино", „Euronews", „РТР Планета", "Пятница", „ТВЦ", „5", „Сарафан", "TLC", "МИР ТВ", „360," "СТС", „Домашний", „Белрос", „Звезда", „Ю", „Ren TV", "Боец ТВ", „რაგბი ტვ", „სილქ-უნივერსალი", „ID", "Topshop", "Охота и рыбалка", "RT","Кухня", „Карусель","Disney", „C1", "GLO", "Inter +".

გაცნობებთ, რომ შპს „BATUMI MEDIA GROUP"-ს დღეის მდგომარეობით კომისიაში არ აქვს წარმოდგენილი შემოწმების აქტში დაფიქსირებულ არცერთ სამაუწყებლო არხზე საქართველოს ტერიტორიაზე რეტრანსლირების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შესაბამისად, კომისიის აპარატის მაუწყებლობის რეგულირების დეპარტამენტს მიაჩნია, რომ შპს ,,BATUMI MEDIA GROUP”-ის მიერ აღნიშნული არხების საქართველოს ტერიტორიაზე რეტრანსლირება ხორციელდება არამართლზომიერად.

გთხოვთ აღნიშნული რეაგირებისათვის გადაეცეს სამართლებრივ დეპარტამენტს.

დანართი:

1. 2019 წლის 13 ივნისის შპს „BATUMI MEDIA GROUP ”–ის შემოწმების აქტი №34 – 2 ფურც. 1 ეგზ.

2. 2019 წლის 13 ივნისის შპს „BATUMI MEDIA GROUP ”–ის შემოწმების ვიდეო ჩანაწერი - 1 CD. 2 ეგზ;

3. 2019 წლის 13 ივნისის შპს „BATUMI MEDIA GROUP ”–ის შემოწმების დამსწრე მოწმის პირადობის მოწმობის ასლი – 1 ფურც. 1 ეგზ;

პატივისცემით,

მარიამ არუშიძე

მონიტორინგის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი
აუდიო-ვიზუალური მომსახურებების რეგულირების დეპარტამენტი

შემოწმების აქტი 34

1. შემოწმების (მონიტორინგის) ჩატარების თარიღი და დრო: 2019 წლის 13 ივლისი, 12:35 სთ.

2. შემოწმების (მონიტორინგის) ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №80
შპს „Batumi Media Group", ონლაინ

3. შემოწმების (მონიტორინგის) ჩატარების საფუძველი: "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი და 44-ე მუხლის პირველი პუნქტი, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36–ე მუხლის მე–5 პუნქტი.

4. შემოწმებული პირის სახელი, გვარი, თანამდებობა (არსებობის შემთხვევაში ავტორიზაციის ნომერი, ლიცენზიის სახე და ნომერი):
შპს „Batumi Media Group" (მაუწყებლობის ტრანზიტი).

5. შემოწმებული დოკუმენტებისა და მოწყობილობების ჩამონათვალი, შემოწმების ჩატარების მეთოდები, ხერხები, ზუსტი დრო და ადგილი:
ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. №80, ონლაინ საკაბელო ქსელით გადაცემული სამაუწყებლო არხების, საქართველოს ტერიტორიაზე რეტრანსლირების კანონიერება, შემოწმდა 2019 წლის 13 ივლისი, 12სთ, 35 წთ კომისიის აპარატის აუდიო-ვიზუალური მედიამომსახურებების რეგულირების დეპარტამენტში დასაქმებულ უფლებამოსილ პირთა მიერ, პროგრამების აუდიო–ვიზუალური დათვალიერება–მოსმენის საშუალებით და გადაცემის დროის დაფიქსირებით.
შპს „Batumi Media Group"-ის ონლაინ სრულყოფილი ქ/მობუღალტრის (ელექტრონული) ანგარიშგებიდან, ინვოისიდან, კომპანიის წარმომადგენელ ქ. ბახატაძის ჩანაწერებით.

6. შემმოწმებლის კომენტარები და შემოწმების შედეგები, დასკვნა ნორმატიული აქტის (მუხლის მითითებით), რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დარღვევის არსებობისას, განმარტება, იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი დგება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელი გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით:

ა) შპს „Batumi Media Group" არის ავტორიზებული პირი, რომელიც "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, უფლებამოსილია უცვლელი სახით გადასცეს სამაუწყებლო არხები;

ბ) შპს „Batumi Media Group"-ს ზემოაღნიშნული უფლება მოპოვებული უნდა ჰქონდეს "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საავტორო ან/და ექსკლუზიური უფლების მფლობელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე;

გ) შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ საკუთარი საკაბელო ქსელით გადასცემს:
ობიექტივი, TV ერა, Ника, Звезда, GDS, Дождь TV, Мультимания, I Love Radio, Серебро, TV 25, I Love Music, Дельфин, Мультимания, ეროვნული, ორბი, Ретро, RU TV, Евроокно, Дом кино премиум, Бестселер, Киномикс, Наше любимое кино, Euronews, RTR планета, Пятница, ТВЦ, 5, Сарафан, TLC, Мир, 360, СТС, Домашний, Бел Рос, Звезда, +0, Рен TV, Боец, Мужское TV, Интересная, ID, Topshop, Моя планета, Охота и рыбалка, RT, Кухня, Карусель, Disney, Ч1, GLO, Интер;

7. შემოწმებულის სხვა ახსნა–განმარტებანი (მისი მოთხოვნის მიხედვით)

8. ხელმოწერები:

9. აქტი შეადგინა:

ზურაბ კვირკველია – აუდიო-ვიზუალური მედიამომსახურებბეის რეგულირების დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი
იოსებ ბაღაშვილი – აუდიო-ვიზუალური მედიამომსახურებბეის რეგულირების დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი

ხელმოწერა:

10. აქტი წარედგინა (სახელი, გვარი და თანამდებობა): ბატონ ბესიკ ბახტაძე - დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერა:

11. შემოწმებისა და შემოწმების აქტის შედგენის დამსწრე მოწმეები (იმ შემთხვევაში, თუ შემოწმებულმა პირმა თავი აარიდა შემოწმების აქტის ხელმოწერას, ან/და არ დაუშვა შემმოწმებელი):

სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი:

ხელმოწერა:

საქართველო
მოძალადის პირადობის მოწმობა
61002002559
04.10.1972